პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი ორი შაური

ტარტაროზი № 40 კვირა, 14 მარტი 1926 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდი ხანია გაგქურდე,
გაგაძრე ზურგზე ტყავია...
თუმცა დასრულდა ომები,
მაგრამ ვერ გშველის ზავია.

ბარემ მიწასაც წავილებ,
უნდა დაგავლო ხელია;
ცარიელ ქვეყნის წალება
აწი არც ისე ძნელია.

# ცხრა წელი

ნიკოლოზი ვილჰელმზე
იყო სავსე ჯავრითა,
რომ ის იმის მეგობარს
კარს მიადგა ჯარითა.

სამაგიეროდ ვილჰელმიც
არ რჩებოდა ვალშია:
სერბიის წაქეზებას
სდებდა ნიკოს ბრალშია.

ორივეს ჩხუბი სურდათ
და სიმდიდრის შეძენა;
ერთმანეთის ქვეყნებში
შეგლეჯა და შეძვრენა.

თვითონ განზე გაჩერდენ
წარბებ შენაღუშები,
და ურთერთს მიუსიეს
გლეხები და მუშები.

მაგრამ, როცა მხრჩოლავი
ცასაც აწვდენ გაზები
მეცხრე ცისკენ გარბოდა
ღმერთი განაბრაზები,

და შემდეგ იქ ტანჯვაში
ბოლოს სული დალია,
მაშინ მიხვდენ ყველანი
ჩხუბი ვისი ბრალია.

გაჩნდენ ვიღაც „ორგულნი“,
არად უჩნდათ „მამული“,
და ესმოდათ სალდათებს
სიტყვები მოწამლული:

— ღმერთი გარდაიცვალა,
მეფე ხალხის მტერია...
თუ მდიდრები დასუქდენ
ეხლა ჩვენი ჯერია.

„პრისთავსაც“ კი ახარებს
თითქოს რევოლიუცია.
მუშა გაშტერებულა,
მტერი ველარ უცვნია.

ცოდვებს არ იგონებდენ
გაქრა როგორც ოცნება.
ეხლა ახალ ზრახვების
სურდათ შესისხლხორცება.

მოქეიფე თავადი
მინისტრობას ელოდა,
ქუჩა-ქუჩა რიხის ხმით
„მარსელიოზას“ მღეროდა.

და გლეხი კი მზად იყო,
(თვალში შური ეფინა)
რომ ლობის სარს სცემოდა
და თავადი ეფრინა.



ცაში ღრუბლების ნაგლეჯზე
იჯდა ღმერთი გულმშვიდად.



მაგრამ, როცა მხრჩოლავი
ცასაც აწვდენ გაზები...

ჩასძახოდენ, უშველეთ
მეფეს, რწმენას, მამულსა!..
(რა უშავდა ხელმწიფეს
ცხრა მთას გადამალულსა).

გამარჯვებას შესთხოვდენ
ორივენი განგებას.
მღვდლები კი ვერ ასწრებდენ
მკვდრებზე წესის აგებას.

ცაში ღრუბლის ნაგლეჯზე
იჯდა ღმერთი გულმშვიდათ,
და ქვევით თამაშობას
მეფეებს არ უშლიდა.

ხალხს ასე არიგებდა:
— **დაუჯერეთ ბატონებს,**
**ნაცვლად საიქიოში**
**თვითონ მე გიპატრონებთ.**

**ვისაც უჭირს მიწაზე**
**პირში სულის ტარება,**
**იგი აქ ჩემს წიაღში**
**იპოვის ნეტარებას.**

და მდიდრების ჯიბისთვის
თავს იკლავდენ მონები.
მათ ტყვია და საფლავი
სხვებს კი მილიონები...

**შინ მშობლები გველიან,**
**ძმები, ნათესავები.**
**რისთვის უნდა ჩაიცვან**
**იმათ ჩვენზე შავები?!**

**რისთვის უნდა მოვფინოთ**
**მკვდრებით მთები, ველები?!**
**და რატომ გავისვაროთ**
**ძმათა სისხლში ხელები?!**

**დროა პირი ვიბრუნოთ,**
**ჩხუბს ვერვინ დაგვაძალებს!..**
და ტახტიდან პანღურით
ნიკო გადააბრძანეს...

პური შემოილია
და არ იყო შაქარი,
როცა უცბად შორიდან
იყო ცნობა სახარი.

და იყო განუწყვეტლივ
კრებებზე კრებებია.
ოქროს ფასად ფასობდა
„რეჩის“ მთქმელი ყბებია.

გულზე ყველას ბანტები
წითელი ვით სისხლია.
ორატორის სიტყვებზე
ქუდებს ზევით ისვრიან.

ვაჭრობის გადიდებას
მოელოდენ ვაჭრები
და პალტოს ქვეშ მიქონდათ
სახლში ფართლის ნაჭრები.

გულზე გაკეთებული
ბანტი არას უშლიდა.
მას ყველა ატარებდა,
დაწყებული მუშიდან.

მოქალაქეს კუჭგამხმარს,
რომ არ ჰქონდა ქანქარი,
ყველგან ელანდებოდა
პური, თავი—შაქარი.

იდგა რიგში დღე და ღამ,
ძალა გამოლეოდა,
მაგრამ მაინც მოთმენით
„უჩრედილკას“ ელოდა.

მოვა, გაგვითენდება...
ფიქრობდა ის ნუგეშით,
და სულს ძლივს-ღა ღაფავდა
ტკბილ სიტყვების გუბეში.

იქ კი, შორს, სასახლეში
„დუშკას“ (ნიჟი ხალასი)
ფერშეცვლილ გენერლებთან
ჰქონდა სჯა და ბაასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საერთო ძალებით
ცხვება რეზოლიუცია:
თუ ომი არ გაგრძელდა
რად ღირს რევოლიუცია?..

სტამბოლი და ბერლინი
სანამ ხელთ არ გვექნება,
ბრძოლა დაულალავი
და ძალების მოკრება.

ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი,
მაგრამ ჯარი სად არის?..
მიქრის ფრონტზე ავტოთი
„დუშკა“ მთავარსარდალი.

ყვირის „სოციალისტი“:
რას სჩადიხართ... დამაცათ!..
და ავტოთი სანგრისკენ
მიქრის იგი მამაცათ.

იქ მაღლობზე შემდგარი
მოუწოდებს სალდათებს:
სიკვდილი და სირცხვილი
ბრძოლას ვინც გაათავებს!..

დაივიწყეთ შვილები,
მშობლები და ტყე-ყანა.
ბერლინისკენ მიგიხმობთ
მთავრობა და ქვეყანა.

პეტკას მიწის ჯავრი აქვს,
ფიქრიც არ აქვს ომზეა,
ვაი თუ რომ გაყოფას
ვერ მიუსწროს დროზეა.

ფრონტზე კი გენერლები
დარჩენ თავის ამარა.
არას შველის შტაბიდან
ბრძანება წარა-მარა.

და მოუსვეს იმათაც,
სჩანს სიცოცხლე ტკბილია.
შიშით ფრონტზე საკბილოს
რას ახავდა კბილია.



როდესაც გაათავა
ჯარი სახლში გარბოდა.



და ბოლოს ქვეყანა
ამ ორს დარჩა სრულებით.

ხვდებიან გენერლები
„ჩესტით“, ეპოლეტებით.
ქუდს კაკარდა უმშვენებსთ,
გულს გიორგის ლენტები.

ტყვია აღარ მოზუის
და სდუმან ზარბაზნები.
ყრიან, იჟანგებიან
თოფები და ვაზნები.

სანგრებზე კი, სად ცეცხლით
გადამწვარან ხენიი,
ტილიანი სალდათი
ხემეცს გადახვევია.

მთელი სამი საათი
ამბობდა და ამბობდა.
როდესაც გაათავა
ჯარი სახლში გარბოდა...

მიდის ვანკა პუპენკო
და დედას იგინება...
დადგეს, თვითონ იომოს
თუ კი მოსვლა ინება.

წინაპრების ძვლებსაც კი
საფლავში არ ასვენებს.
შინ მარუსკა მოელის,
ალბად ხშირად ახსენებს.

. . . . . . .
. . . . . . .

შემდეგ წლები სასტიკი,
სხვა ბრძოლა და გულები...
და დაბოლოს ქვეყანა
ამ ორს დარჩათ სრულებით...

**სინტო.**

# „მანიკიური“

ესეც ახალი გამოგონება.

რას არ მოიგონებენ ჩვენდა დასაქცევად ეს ოჯახდასაქცევი დედაკაცები.

სიხარულით ცას ვსწვდებოდი, რომ ჩემს ცოლს წვერ-ულვაშის პარსვა და თმის კრეჭა არ უნდა-მეთქი ჩემსავით...

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული...

გავიხედე ერთ დღეს და მომადგა ჩემი ცოლი:

— ქალებს სადალაქოები გაუხსნეს თურმე, „პრიჭოსკას“ უკეთებენ და თითებს ულამაზებენო...

დღე და ღამე იმის ფიქრში იყო, თუ როგორ გაეკეთებინა მისი ჯაგარი თმები.

რა მექნა: მივეცი ერთი მანეთი, რომელიც შემონახული მქონდა. წავიდა და ორი საათის განმავლობაში დაბრუნდა სახლში.

— აი, შეხედე, რა ლამაზია ეხლა ჩემი თითები?— მომაძახა შემოსვლისთანავე და წითლად შეღებილი ფრჩხილები მაჩვენა.

რას ნახავ კაცი!

მოლასავით შეუღებავს ფრჩხილები და არსენა ოძელაშვილის ხანჯალსავით გაელესა.

ეხლა კი მივხვდი, თუ რა უბედურება მომელოდა. აწი რა შვილი მომერიდება, როცა ასეა შეიარაღებული. ამდენხანსაც არ მაყრიდა ხეირს: როცა მოეპრიანებოდა, ჯორსავით მომაყრიდა ტლინკებს.

მეორე დღეს კინოში წასვლა მომთხოვა, რაზედაც მე უფულობის გამო უარით ვუპასუხე.

ბრაზმორეული ქორივით დამეცა და დამიწყო ფრჩხილებით შეუბრალებლად კაწვრა. კლანჭები კისერში ჩამარჭო, თმა თავზე სულ ერთიანად გამაცალა, თვალები დამკორტნა და ყელში სისხლი გამადინა.

მეზობლები რომ არ მომშველებოდენ, მე ეხლა საიქიოს წერილი მექნებოდა წაღებული.

გადაწყვეტილი მაქვს „მმაჩ“-ში წავიდე და განუცხადო: ან აუკრძალონ ქალებს „მანიკიურის“ კეთება, ანდა მათ ჩაიბარონ ჩემი კლანჭებიანი დედაკაცი.

**შა—დუ.**

გულდათუთქულნი და დამწუხრებულნი: შეშის და ნავთის საწყობების პატრონნი, შეშის დამჭრელნი, ნავთის გამყიდველნი, მეფეჩეები, „მეკერასინკეები“ და სხვები ვაუწყებთ მთელს ქვეყანას ჩვენი ჯიბეების უბედურებას, რომ 28 თებერვალს, შუაღამის სრულ თორმეტ საათზე, სამი თვის ავადმყოფობის შემდეგ




# გარდაიცვალა ზამთარი

## !?!გაათხოვა ქალი!?!

ივანემ ერთს მშვენიერ დღეს თავისი ქალიშვილი ერთს მშვენიერს და სინდისიერ ყმაწვილს მიათხოვა.

გათხოვილი ქალი ორი წლის შემდეგ თავისი შვილით და ტირილით მივიდა მამის სახლში და ქმრისაგან გატანებული წერილი გადასცა მამას.

წერილში ასე ეწერა:

ძვირფასო მოყვრებო!

მანდ, სოფლად კიდევ არაფერი, მაგრამ ამ ქალაქში განათლებული ხალხი ასეთი ამბის მოწმენი ვართ: არ ვიცი რატომ,—მხოლოდ ხშირად მშობლები სიძეს სთხოვენ, რომ შვილი დაუბრუნოს... საჩივარზედაც კი მიდის, ხოლმე, საქმე.

მე დავუკვირდი ამ გარემოებას, ავსწონ-დავსწონე იგი და, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი.

ქვეყანამ იცის, რომ მე შენი შვილი მყავს ცოლად.

აქ მე ხშირად ვითხოვ ხოლმე პალტოს, ამხანაგებისაგან (რადგანაც საკუთარი პალტო არა მაქვს) და ისევ უკან ვუბრუნებ ხმარების შემდეგ... აბა რა სინდისი იქნება, რომ ვითხოვო და აღარ დავუბრუნო!? ეს ხომ უსინდისობა და უპირობა იქნება.

სანამ პატრონი მოგთხოვს, მანამდე თუ დავუბრუნებ, უკეთსია, რადგან ნდობას დაიმსახურებ ხალხში... როცა მოგთხოვს და არ მისცემ, კიდეც გიჩივლებს და ერთი უსიამოვნება ატყდება.

მე, რასაკვირველია, თქვენ მიყვარხართ, პატივს გცემთ და ასეთ უსიამოვნებამდე ღმერთმა ნუ მიმიყვანოს.

შენი შვილი, ჩემი ცოლი ორი წელიწადი იყო ჩემთან.

ალბად შენ მეტად პატიოსანი და ხათრიანი კაცი ხარ, რომ ამდენხანს მადროვე და არ მომთხოვე ქალის უკან დაბრუნება.

მაგრამ მე ჩემი სინდისი და პატიოსნება მაქვს და მას არასოდეს არ ვუღალატებ.

ჯერ აქამდეც რომ შემხვდებოდი, სირცხვილით ვწითლდებოდი... შენ ისე შემომხედავდი,—თითქოს მეუბნებოდი:

— შე ოხერო, სინდისიც კაი საქონელია; ჩემი შვილი ითხოვე და ამდენი ხანია აღარ მიბრუნებ-ო...

ჰო-და ახლა მაგონდება შენი შემოხედვა და ახლა ვგრძნობ, თუ რა უსინდისობას ვიჩენდი, როცა შვილს უკან არ გიბრუნებდი.

სინდისიერი და პატიოსანი კაცი ვარ... სამუდამოდ ნათხოვარი ღმერთმა ნურაფერი მომცეს და შემარგოს... ამიტომ გიბრუნებ უკანვე შენს შვილს...

უსათუოდ დიდ ბოდიშს ვიხდი რომ დაგიგვიანე... ამდენი ხნის დაგვიანების სასარგებლოდ თან ვატან ბავშს შენი შვილის-შვილს, რომელიც ჩემი შვილიც არის.

იმედი მაქვს:—სხვა დროსაც რომ ვითხოვო, არ დაიზარებთ.

ეხლა კი კიდევ ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის.

შენი სიძე

კირილე.

გულგაფურჩქვნილნი და მხიარულნი: სტუდენტები, რომლებსაც ზამთრის განმავლობაში არ გვღირსებია გათბობა და არ გვქონებია პალტო, ფრანტი ყმაწვილები, რომლებიც, მიუხედავად ზამთრის სიცივეებისა, მაინც „აზიაცკეში“ და „გალიფეში“ ვიყავით გამოკვანწულნი, რათა ჩვენი „მშვენიერი“, წერწეტი მოყვანილობით, სილამაზეს ვმატებდით რუსთაველის გამზირს, მათხოვარნი, სანახევროდ ტიტველნი ბავშვები, რომლებსაც ქუჩაში გვქონდა ბინა, უმუშევარნი, რომლებსაც ძველი, გაფხეკილი პალტო ვერ გვათბობდა, წუნეთის ვირები, რომლებსაც წელი გაწყვეტილი გვქონდა ნახშირის და შეშის ზიდვით და სხვები, ვაუწყებთ მთელს ქვეყანას ჩვენს გაბედნიერებას, რომ პირველ მარტს



# იშვა გაზაფხული

## მამის წერილი

შვილო ნიკოკია!

ვსთხოვ განგებას, რომ შენი საქმე კარგად წასულიყოს და კაი გაშტიქინებული დოხტური გამოსულიყო. თუმცა ახლა დოხტურობას აღარ აქვს მოწონება, რადგანცაი და ქვეყანა დოხტურობის ნაწილზეა შესული, მარა მაინც კაია; საცხა მიხვალ,—ყოლგან საქმეს იშონი, ყოლგან მიგიღებენ.

მივიღე შენი წერილი; სამ კურსნახევარი გაგითავებია. კაი, ბიჭო, აწი გაანებე თავი მაგ სტავლას; სიცხის შეტყობა და ხინაის გამოწერა მაინც კი გეცოდინება და მეტი მაინც არაფერი არაა საჭირო. ჩვენში ციებამ მოგვინელა და ამოგვაგდო, თვარა სხვაი ავადმყოფობა არ არის.

ციებაა და ამის წამალიც ვერ ვიშოვნეთ. გამოაგზავნიენ ამ ჩვენს ჯახრიკა აფთიაქში ერთ ფინჩხა ხინას და იმ მინუთში დაიტაცებენ.

ასე ქენი, ასე... ხინაის გამოწერა და სიცხის შეტყობა ისტავლე, ერთი ორი ფუთი ხინაი წამეიღე და შენისთანა ბედნიერი კაცი ქვეყნიერებაზე არ იქნება.

მაინც, რამდენი კლასი გაქ გათავებული? მე და დედაშენი დავჯექით, ვითვალეთ სიმინდის კაკლებით და გამევითვალეთ: პირველად პრიხოდის სკოლა, ეს ერთი კლასი; მერე ორკლასიანი გაასკვინჩალე, ეს—ორი; პრიხოდიანათ—სამი.

მერე ოთხკლასიანი,—ეს შვიდი; მერე რვაკლასიანი—ეს თუთხმეტი, ახლაც სამ კლას-ნახევარი გაგითავებია,—მაგიც შენი თვრამეტ კლასსნახევარი.. მაგდენი სწავლა მირსკის არ ჰქონებია. მაგდენი სტავლა რომ მქონებოდა მე, ახლა ან ვირი ვიქნებოდი, ანდა ვირის პატრონი. ახლაც ჭკუიან კაცს მიძახიან...

მამასახლისობის დროს ერობის თავმჯდომარეობა და ახლა ალმასკომის თავმჯდომარეთ უნდებიენ ამირჩიონ, მარა მე არ ვთანხმდები.

აი მე ვარ ასე, თორემ შენ თუ რამეში აგირჩიონ მაქანაი, ვარს ნუ იტყვი... შენისთანა განათლებულს და ცხრამეტ-კლასიან კაცს ყოველისფერში აირჩევენ. თუ მაქანაი ალმასკომის თავმჯდომარეობა მოქცენ, დადექი და ორი კაპეიკი ჩვენც გამოგვიგზავნე. მაქანაი ჯამაგირიც კაი გექნება და გამოსარჩენიც. მართალია, დოხტურ კაცს ალმასკომის თავმჯდომარეობა არ შეშვენის, მარა ახლა მაგას ვინ უყურებს; რომელი ხელობაც უფრო გაგაძღობს, იმას უნდა მოჰკიდო ხელი.

მამაშენი **ზოსიმაი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახლის-პატრონი

**ვუძღვნი ჩემს და ჩვენ მკითხველთა (რომლებსაც ჰყავთ) სახლის პატრონებს, რომლებიც ერთმანეთს ისე ჰგვანან, რომ თვითეული მათგანი აქ თავის თავს ნახავს.**

— დიახ! ღმერთს არ უნდა, თორემ ამ ქვეყანას სოდომ-გომორად გახდიდა... არ უნდა იმიტომ, რომ ჩვენც, რომლებსაც გვწამს ღმერთი (დიდება მის სახელს!) კომუნისტებთან ერთად ვარსებობთ ამ ქვეყანაზე. ღმერთს სძულს კომუნისტები, რომლების დაღუპვა უნდა, მაგრამ არ ეწყობა, რადგან ამ ქვეყანაზე ჩვენ ვარსებობთ, ვსცოცხლობთ კომუნისტებთან ერთად.

მაშ გაუმარჯოს ღმერთს, იყოს დღეგრძელი და მრავალჟამიერ; მისი წყალობა ნუ მოაკლოს ღმერთმა კომუნისტებისაგან გამწარებულ ქვეყანას...

და სახლის პატრონმა გადაჰკრა სავსე ჭიქით ღვინო.

ეტყობოდა, იგი საკმაოდ მთვრალი იყო. გარშემო სუფრას უსხდენ: ცოლი, ბავშვები, მოხუცი დედა და ერთიც მეზობელი.

რა შემთხვევის გამო იყო ეს ქეიფი, არ ვიცოდი, მაგრამ მერე გავიგე, რომ ერთი მდგმური, რომელსაც „სიცოცხლე გაუმწარა“,—სხვა ბინაზე გადასულიყო და ოთახი სახლის პატრონისათვის ჩაებარებინა.



გარეგნულად საწყალი კაცი იყო.

— ეხლა საქმე ისე აღარ არის,—დაიწყო სახლის პატრონმა,—ჩვენ თანდათან ვიბრუნებთ ჩვენს უფლებას... ეს ერთიდა სხვა ძრავალი კიდევ... ისე გაუმწარებ ყველას სიცოცხლეს, რომ ამ სახლში კი არა, მგონი ამ ქუჩაზეც ვერ გაიარონ...

— ხა-ხა-ხა-ხა!—იცინოდა მთელი სუფრა.

— ეხლა ვსვამ დედაჩემის სადღეგრძელოს. გაუმარჯოს დედაჩემს, რომელსაც ღმერთი უგონებს და რომლის ლოცვამ ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა კიდევ უფრო განადგურებისაგან... ღმერთი დიდია... და მოწყალე... ეს ერთი ოთახი ხომ ჩავიგდე ხელში... მაშ გაუმარჯოს, ბატონებო, ბებიათქვენს... რაც ხანია, ერთს ოთახს კიდევ ჩავიგდებ ხელში და კიდევ ვისურვოთ ასეთი და უკეთესი ქეიფი გადაგვეხადოს მაშინ...

აქ კი სიხარულისაგან ყველამ „ექსტრა“ გადაჰკრეს.

მართლაც შეუდგა საქმეს სახლის პატრონი. პირველად მიზანში ამოიღო მახლობელ ოთახში მცხოვრები მდგმური. რა ხრიკები არ იხმარა... ადმინისტრაციასთანაც კი დაასმინა.



სახლის პატრონს ჩამოსძინებოდა.

გარეგნულად ისეთი სათნო და საწყალი კაცი იყო სახლის პატრონი, რომ ცუდს მაზე ვერ იფიქრებდი.

ძველის-ძველ პალტოს იცვამდა, ფეხებზე ძველი სხვადასხვა ფეხსაცმელი ეცვა და თავი შეხვეული ჰქონდა ძველი თავშალით.

რომ ვინმე გაელაპარაკებოდა, ნელი, ავადმყოფის ხმით დაიწყებდა ლაპარაკს... ყველას თავს აცოდებდა... სულ „იღუპებოდა“, მაგრამ მუდამ მაინც ჩვეულებრივად იყო.



იკადრა სახლის პატრონმა მუხლ-მოდრეკა და შეევედრა პატიება.

და ერთ საღამოს მან მდგმურს ფეხისადგილი დაუკეტა. ბოქლომი დაადო კარებს და გასაღები ჯიბეში ჩაიდვა.

როცა მდგმური შეეკითხა, თუ რას ნიშნავდა მისი ასეთი საქციელი, მან თავი იმართლა:

— ფეხისადგილი წამხდარია, წყალი არ გადის... ხომ ხედავ, არც მე ვსარგებლობ, ბოქლომით არის დაკეტილი!.. გაკეთება უნდა; გაკეთებას ოცი მანეთი უნდა... მე არ მაქვს ეს ფული ჯერ-ჯერობით,—და სხვა ასეთები.

მაგრამ სახლის პატრონი სარგებლობდა ფეხისადგილით. ჩუმად გააღებდენ და შეიპარებოდენ. ეს იცოდა მდგმურმა და მოხერხებულ დროს უცდიდა.

დიდი ხნის ცდა აღარ დასჭირვებია. ერთ დღეს მარტო სახლის პატრონი დარჩა სახლში.

მდგმური უთვალთვალებდა.

სახლის პატრონი ფრთხილად გამოვიდა ოთახიდან, გააღო ფეხისადგილის კარები და შიგ შევიდა.

(ბოქლომი ისე იყო მიმაგრებული კარზე, რომ არც ემჩნეოდა, თუ შიგნით ვინმე იყო).



...ცვამს კარგ ტანსაცმელს... გაიჭიმება სავარძელში... პიანინოს უსმენს.

მდგმური გარედ გამოვიდა, მანაც ისე ფრთხილად მივიდა,—და კარები გარედან გამოკეტა.

სახლის პატრონმა როცა გარედ გამოსვლა მოინდომა, უკაცრავად, მაგრამ ვერ შესძლო.

ბევრი იწვალა, მაგრამ ამაოდ.

აბა, როგორ დაიძახებდა?... სახლში არავინ იყო. სხვა გზა არ იყო: უნდა საღამომდე მოეცადა ცოლ-შვილის მოსვლამდე.

ასეც გადასწყვიტა... ჩამოჯდა და დაიწყო ლოდინი, თუ როდის მოვიდოდა მისი „ციხის კარების გამღები“.

მდგმურმა მიაყურადა.

სახლის პატრონს ჩამოსძინებოდა და ისმოდა მისი ხვნეშა...

— და თავზარდაცემული მხოლოდ მაშინ წამოვარდა, როცა მდგმურის გრძელი რკინა მოედვა წყლის მოსაშვებ ჯაჭვს და წყალმა იფეთქა შიგ.

იკადრა სახლის პატრონმა მუხლის მოდრეკა და შეევედრა პატიება...

. . . . . . . . . . . .

მართლაც, ამის შემდეგ იმ მდგმურს სიცოცხლეს ვეღარ „უმწარებს“, თუმცა-ღა ყოველთვის დაწოლისას მწარედ ამოიოხრებს და სწყევლის მას.

ხანდახან, როცა მოაგონდება „ძველი ეზო“, იგი დაჰკეტს კარებს და ფანჯრებს. ჩაიცვამს კარგ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, რომელიც შენახული აქვს „ცხრაკლიტულში“, გაიჭიმება სავარძელში, მოიგონებს „ძველ დროს“—როცა „ასე“ ცხოვრობდა და....

პიანინოს უსმენს...

მსახურიც კი ჰყავს...

რომ ჰკითხო:—თუ „იღუპები“, რად გინდა ეს მსახურიო, გიპასუხებს:

— რა ვქნა, მეცოდება... უპატრონო არის და მე ვარჩენო.

ჰინჰარი.

# ენა

**უენოთ რომა არაფერი საქმე გაკეთდება**—ეს, მგონი, ყველამ უნდა იცოდეს... და თუ ვინმე კიდევ არის ისეთი, რომ ეს არ იცის,—ამიერიდან მაინც იცოდეს,—**უენოდ რომ არაფერი საქმე გაკეთდება.**

თუ რა ღირს ენა, ეს, მგონი, ყველამ იცის... და თუ არ იცის, უნდა იცოდეს, რომ ენა არის უძვალო ხორცი...

და უძვალო იმიტომ, რომ: ადვილად, მოხერხებულად **შეიძლებოდეს მისი წარამარა ტრიალი.**

**უენოთ ადამიანი ვერ ილაპარაკებდა,—და ვისაც ეს არ გჯერათ, შეგიძლიათ სინჯოთ: ამოიძრეთ საკუთარი ენა და სინჯეთ ილაპარაკება.**

**მართალია: ენა აქვს მუნჯს და ის ვერ ლაპარაკობს,** მაგრამ რა ვუყოთ... ნეტა ბევრი გრძელენიანი დამუნჯდებოდეს და მოგვასვენებდეს ლაყბობისაგან.

ჯერ კიდევ ენის შესახებ ბიბლიაში არის ცნობა, რომ ხალხმა ისეთი მაღალი კოშკის აგება მოინდომა, როგორიც ეხლა ნიუ-იორკშია... ღმერთმა თურმე „ენა შეუშალა“ ოსტატებს, რომლებმაც სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. და იძულებული იყვნენ მუშაობას დასთხოვოდნენ... გამოდის, რომ მუშაობისათვის, საქმის გასაკეთებლად საჭირო ყოფილა ერთმანეთის ენის ცოდნა. ჩვენ ამ აზრს გავიზიარებდით, მაგრამ ცხოვრებაში პირიქითს ვხედავთ: მაგ., ავიღოთ ინგლისი, რომელმაც არ იცის ახალშენების ენები, მაგრამ მაინც ამუშავებს დაპყრობილ ხალხებს...

ამ შემთხვევაში ერთს გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ინგლისმა გამოიგონა ახალშენებისათვის მათრახი, რომელიც ენის ცოდნის მაგიერობას ასრულებს.

ენას, როგორც ყველგან, ჩვენშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხშირად ხდება ჩვენს ცხოვრებაში, როცა ენა, ლაპარაკი თავბრუს გვასხამს და ფეხს მდუღარეში გვაკვრევინებს.

**(მოიგონეთ: მელია და ყვავი, როცა მელიამ თავბრუ დაასხა ქებით ყვავს, რომელსაც პირიდან ჭყინტი ყველის ნაჭერი გააგდებინა).**



ქალს სახლიდან გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

ორი სიტყვით: ენა ძალიან საჭირო რამ არის.. უფრო საჭირო, ვიდრე ჭკუა.

მეორე გვერდზე ჩვენ მოგვყავს ენის ნიმუშები, რომლებიდანაც სჩანს, რომ: ყველაზე გრძელი ენა ჰქონებიათ მომხსენებლებს და ვექილებს, შემდეგ კი დედაკაცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენის ნ(იმ)უშები



როცა ცხელა, ანდა, როცა
არ ასვენებს ტანში ციები,
ანდა, როცა სულ სხვა სენით
ძაღლი არის ავადმყოფი,—

ამ ცხოველსა მაშინ პირში
აღარ უცდის თავისი ენა;
სულსა, გულსა ურჩევნია
ამ დროს ხსენისთვის მწარედ კბენა.

ამისათვის სულერთია:
ხიცხე არის ან-თუ ციება;
განუწყვეტლივ სულ ჰყეფს, მაგრამ
უბები მაინც არა სტკივა.

რა დარდი გვაქვს,—და იცდის,
ამით ჩვენთვის რა შავდება!
თუ მან ენა დაასვენა
მაშინ ენა გაქვავდება.

ამოიგნე: „ეპ... ...ლა",
აქ არ მაროდლე...
გააგდო ენა და ...
პირს კბილებით ...

ხომ მუნჯი არი... ...ა?!
გამილეგვით არ...
მაგე უცრონება ...
აქვს ლაპარაკის ...

გრძელი ენა ცხოვრებასთან საჭიროა კიბეც, ხიდიც.
ვისაც კი აქვს გრძელი ენა, თავი მოაქვს მეტად დიდად.
სადაც ხელი ვერ მისწვდება, იქ მისწვდება გრძელი ენა.
უბრალოა მისი მოვლა, მას არ უყვარს ჰიგიენა.

ყველზე უფრო ქალს სჭირია ეს უბადლო იარაღი,
რომ მოწამლოს თავის მეტოქე(ცხოვრებაში დასდოს დაღი);
თანაც აცნოს მთელ მსოფლიოს მეზობელზე რამე ჭორი;
მით შეიქნეს ის რადიოს თანაბარი, თანასწორი.

# თავ-ფეხ-კისერ-ენაჭრილნი ექიმთან



სარდაფიდან ამოვედი
დამთვრალი და გალეშილი.
(უნდა გითხრა, ექიმო, რომ
ღვინოზე ვარ დაგეშილი).

ძილი გზაში მომერია,
სახლში წასვლა დამეზარა...
მივაბალე თავი ბოძსა,
ალბათ მაშინ გამებზარა.

ვარე უბანში ვიყავ,
ქუჩებია დანგრეული;
როგორც ჭალაში, ისე
შეებია სულ ამწვეული...

დაღრღნილი ქუჩა, თითქოს
იქ გავარდნილა მეხი...
ისეც სიბნელე იყო,
იქ მოვიტეხე ფეხი...

ვერას დაღმართზე ქალს ვაცილებდი...
ფრანტად ვიყავი გამოწყობილი.
შევიმლე ხელ-ხელსა... იყო ტალახი...
ჩამოიქროლეს ავტომობილი

—და რომ ტალახით არ დავესვარე
გავუხტი იქით, ვით შველი მარდი...
მაგრამ დავეცი ცხვირპირით იქვე...
აჰ კისერტეხის მქონა აღმართი...

მოვარდა, ვით გიჟი, და ითხოვდა შველას;
გადმოგდებულ ენას უჩვენებდა ყველას.
მოტეხილსა ენას მქონდა სისხლის დენა
და ექიმმა მკითხა: „რომ მოტეხა ენა?

უთხრა:—ვკითხულობდი აფიშებს ქართულსა,
რუსულიდან თარგმნილს, უბრალოს, არ რთულსა.
ენა მოვიტეხე... ენას ვინ-ღა დამჯდის?!?
ჩემი ცოდვა მქონდეს, ვინც რომ ასე თარგმნის.

ისილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გამოიცნობს



უცქირეთ თვალმიშტერებით ამ სურათს მანამდე, სანამ ამ კაცის ხელი ამოძრავდებოდეს და დასწერდეს რამეს.

ვინც წაიკითხავს, თუ რას დასწერს ეს კაცი, იგი წლის ბოლომდე მიიღებს უფასოდ გაზ. „მუშა-“ს და ჟურნ. „ტარტაროზს“, აგრეთვე საჩუქრებს:

| | |
|---|---|
| პირველი | 500 მან. |
| მეორე | 300 „ |
| მესამე | 100 „ |

მხოლოდ გამომცნობმა უნდა გვაცნობოს, თუ რომელი ურჩევნია ამ სამში: ხუთასი, სამასი, ასი მანეთი, თუ სამივე ერთად.

შე დეგი გამოცხადება „ტარტაროზი“-ს შემდეგ ნომერში.

# „ძველი“

## ნამამასახლისარ კონსტანტინეს გოდება და მისი საბჭოში შეძრომა.

1.

ვაი ამ დროებას,
რატომ მოვესწარი.
ჯავრით გული მიწუხს,
მოვკვდი ლამის არი.
მიყვარს ღმერთი, ხატი,
ინდაური, ბატი!
გულის მკერდი მქონდა
ჯაჭვით მონახატი.
ქრთამს ვიღებდი, როცა
ვმამასახლისობდი;
ნიკოლოზ ხელმწიფეს
არასოდეს ვგმობდი.
ჯაჭვ გადაკიდული
სახლში განიერად
დავიარებოდი
ჭკუა გონიერად.
მაგრამ დავიღუპე
კაცი ბედით კრული,
ჯაჭვი ახლაცა მაქვს
სკივრში შენახული.
ველი ჩემ დროებას,
ველარ მოვესწარი;
სული ამომძვრება,
აგერ სადაც არი.
ნოე მეუბნება:
საქმე ცუდათ არი,
აწი კომუნისტებს
ვერ წაიღებს ქარი!
სამღვდელოებას
საქმე ცუდათა აქვს:
ყველას ხურჯინები
ცარიელი დააქვს...
აღარც ჩემსკენ მოაქვს
ახლა ვისმეს ხელი...
კაცი კი გავწვალდი
გადის ხუთი წელი.
ღარიბი გლეხობა
მიმზერს როგორც მგელი!
მამასახლისობას
აწი აღარ ველი.
მაინც ეს მთავრობა
არის საკვირველი,
ისე კი გამსწურეს
როგორც ჭყლინტი ყველი.
კარგი არის თურმე
საბჭოების „ხვრელი“
იმაში შეძრომა,
თუ კი მე შევძელი!

—:—

და ორპირის თემის
არის საბჭოს კრება;
კოსტა მუხლმოდრეკით
—ყველას ევედრება:
აღმასკომის წევრათ
გამიყვანეთ მეო!
გევედრები ამას
თქვენი ჭირიმეო.
მაგრამ საბჭომ მედგრათ
მიაძახა:—არა!
მამასახლისი ხარ,
ეს სირცხვილიც კმარა!
საამშენებლოში
მაინც შეგვეპარა,
ხუთი წლის ზარალი
მაინც თუ დაფარა!?
თავმჯდომარე არის
ის ამ სექციაში,
ახლავე ჩავსწერე
მე „უბის სიაში“—
კარგი იყო ძველათ
მამასახლისობა,
ეს ბებერი კოსტა
ახლაც არ გვეშობა.

ჭოლოკი.

# ჩოხატაური

ჩოხატაურის ცხრაწლედში
თურმე ამგვარი წესია:
(ვინც უნდა იყოს მოწაფე
დიდი, თუ უმცირესია)
სკოლის დადგომას თუ აცდა
სულ, რაღაც ორი წამია—
„წაბრძანდი სახლში,—ეტყვიან,—
დაგაგვიანდა ძამია“-..
უკან ბრუნდება ბავშები
დაღვრემილები სახითა,
სახლში ვერ წავლენ—იციან,
მშობლები სცემენ სახრითა!..
გამოსავალი გზა მათთვის
ერთია მხოლოდ ამაში:
დილიდან—დაღამებამდე
დაყიალობენ ბაზარში.
ამით სარგებლობს აბრამა,
(ფეხზე რომ ვაჭრობს ურია)..
თითო ბავშისთვის მზათა აქვს,
თითო ნაჭერი პურია.
სამაგიეროდ აბრამას
მზათა აქვს გაკვეთილები:
უნდა უჩეჩქვონ ბავშებმა
თითომ ბათმანი თხილები.
(ასე, თუ დიდხანს გასტანა
ერთს არ შერჩება კბილები!..)
თუ, რომ უზრდელად არ ჩაგვთვლის,
გამგე რომაა „ბესია“,—
ტარტაროზ, უთხრათ: არ ვარგა,
თქვენი ასეთი წესია.
ანგარიშ გასაწევია,
პაწაწკინტელა ბესია,
როცა ის ჩივის ცრემლებით
ანატირ—ანაკვნესია:
— რა ვქნა! კლას ველარ მიუსწარ,
გზა ჩემი სამი ვერსია,
არც კლასში, არც შინ მიშობენ,—
მოვკვდე კი უკეთესია!..

წაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართლიანი მოთხოვნილება




ძროხები ჩვენ კატეგორიულად ვთხოულობთ დაუყონებლივ დაგვიბრუნოთ ჩვენი თავები

## „მარგარიტა გოტიე“

(ორმაგი წარმოდგენა ქუთ. სახელმწიფო თეატრში)

სცენაზე და ქანდარაზე

ს ც ე ნ ა ზ ე

**არმანი** (მარგარიტას):—ნეტავ თქვენი ახლობელი ნათესავი ვიყო, რომ შემეძლოს თქვენ გვერდით თავისუფლად ყოფნა. ნება მიბოძე ვიყო თქვენს გვერდით სანამ არ მოგბეზრდებით.

**მარგარიტა:** უბედური იქნებოდი!

ქ ა ნ დ ა რ ა ზ ე

(მოწაფე ქალ-ვაჟი, რომელნიც ბნელ კუნჭულში მიმჯდარან)

**ვალიკო:** (ანგელინას) ანგელინა! მიყვარხარ!

**ანგელინა:** მერე მე რა, რომ გიყვარვარ!

**ვალიკო:** ისა, რომ შენც შემიყვარე...

**ანგელინა:** მე შეყვარებული ვარ!

**ვალიკო:** ვიცი ვისზედაც,—ის ავარაა, მატყუარა!

**ხმები:** (ქანდარაზე) სიჩუმე ამხანაგებო!

ს ც ე ნ ა ზ ე

**არმანი:** მარგარიტა ნუ გამცვლი „დოლარებში“ და ფრანკებში, წრფელი და უმანკოა სიყვარულით ალსავსე თქვენს წინაშე ჩემი გული, შეიყვარე იგი.

**ანგელინა:** შენ ხომ ანიკოში ხარ ჩამწვარი, რათ წარსულს საკმარისად არ იცნობ.

ქ ა ნ დ ა რ ა ზ ე

**ვალიკო:** ანგელინა ნუ გამცვლი იმ დალლარაში, მისგან „ნაკურკის“ თხოვნით თავი გვაქვს ამხანაგებს მობეზრებული. ის „კოპალას“ ღირსიც არ არის. წმინდაა ჩემი გული ვითარცა „ქუთაისის“ ქუჩა, ეპატრონე მას.

**ანგელინა:** აკი, იროდი მისი სიყვარულით?

ღალატობ იმას, მე იმას მოქიშპეთ ვერ გაუხდები, ის კარგი მეგობარია ჩემი!

**ვალიკო:** მას უყვარვარ, მხოლოდ მე არ მიყვარს.

**მარგარიტა:** აკი, იროდი მისი სიყვარულით?

**ვალიკო:** ახლა აღარ მიყვარს!

**ხმები:** სიჩუმე! არაფერი გვესმის. Тише! ს, ს, ს, ს,

**მილიციონერი:** (ქანდარაზე დარბის, რომელიც მეტს ხმაურობს) მანდ რა კურკურ-მურკურია, გთხოვთ დაწყნარდეთ, სხვას ნუ უშლით!

**ხმები:** სიჩუმე. ს, ს, ს, ს, რა ამბავია, გაგვაგონეთ რამე!

ს ც ე ნ ა ზ ე

**მარგარიტა:** არმან, წავიდეთ სოფლად, იქ უფრო თავისუფლად გავატარებთ ჩვენ ტკბილ დღეებს.

ქ ა ნ დ ა რ ა ზ ე

**ვალიკო:** ანგელინა, მე მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო, მაგრამ არ მაძლევენ საშუალებას, ეს მილიციონერიც სულთამხუთავივით მადგია თავზე. ჩავიდეთ ძირს, შევიდეთ ბაღში, გაგაცნობ ჩემ გულისთქმას და თუ ყაბულს იქნები, ხომ კარგი, თუ არა და...

**ანგელინა:** და თუ არა?

**ვალიკო:** სისხლს დავღვრი!

**ანგელინა:** ვისას?!

**ვალიკო:** შენსას, იმ დალლარას, და მერე ჩემ თავსაც მოვიკლავ!

**ანგელინა:** აბა, რას ამბობ ვალიკო?

**ვალიკო:** მიყვარხარ ანგელინა და იცოდე, რომ თუ გამალიზიანებ, საძაგელ მსხვერპლს გავილებ. მგონი ეს მილიციონერიც მივაყოლო.

**ანგელინა:** დაწყნარდი ვალიკო, შენ მაგას არ იზამ!

**ვალიკო:** ვიზამ!

**ანგელინა:** არ იზამ!

**ვალიკო:** გინდა ეხლავ!

**ანგელინა:** (ხმას უწევს შეშინებული) არ დამღუპო!

**ვალიკო:** აბა მაკოცე!

**ანგელინა:** დაგვინახავენ!

**ვალიკო:** ყველას თვალებს ამოვკაწრავ, რომ არ შეგვხედონ. (ეხვევა ვალიკო და კოცნის) ჩავიდეთ ძირს, ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სად. გურჯაანი



სადგურის უფროსი: ეგ რა ამბავია, რომ ყველაფერი დაგიბამთ?!
— იმიტომ, რომ თქვენი მორიგეები არაფერს არ გვიყენებენ.

დვაა ჩვენ სპეტაკსა და წმინდა სიყვარულს ასეთი მახრჩო-ბელა ჰაერი სწამლავდეს.

**ანგელინა:** წარმოდგენის შემდეგ ვალიკო. უკანას-კნელი მოქმედებაა.

**ხმები:** სიჩუმე ამხანაგებო, ს, ს, ს, Тише!

**მილიციონერი:** (ვალიკოს) გთხოვთ დაწყნარდეთ, თო-რემ მყუდროების დარღვევისათვის დაისჯებით.

**ვალიკო:** ვინა?! ვინ დაისჯება?

**ანგელინა:** (შეშინებული) ვალიკო, შენი ჭირიმე—დაჩუმდი! (მილიციელს) მე მაპატიე მეგობარო!

**ხმები:** რა ბაზარია მანდ, სიწყნარე—სიჩუმე. Тише, ს, ს, ს, ს. გაგვაგონე!

### ს ც ე ნ ა ზ ე
(უკანასკნელი მოქმედება)

**მარგარიტა:** (ეხვევა არმანს) არმან სიცოცხლე მინდა, დაუძახე ექიმს.

**ვალიკო:** (ეკვრება ანგელინას) შენი ჭირიმე ანგელინა, მომეხვიე, ჩამეკარ გულში. (თავდავიწყებულნი ეხვევიან ერთი-მეორეს). ფარდა ჩამოდის, ხალხი აღტაცებით ტაშს სცემს, (ოვაციები). (ქანდარაზე მეპაპიროსე და ფეხსაც-მელის მწმენდელ ებრაელის ბიჭები). ბარო, სიძე! ბა-რო სიძე! (დარბაზი განათდება, ვალიკო და ანგელინას ბნელში ნამოქმედარი სინათლეში აშკარავდება).

ასე დასრულდა და სრულდება ყოველი წარმოდგენა ხსენებულ თეატრში.

კოსტაიდი.



### სალაროს ვირთხები

ჭიათურა. პ. ლაღიძის მოსკოვში ყოფნის დროს მშე-ნებელთა კავშირის სალაროს თანდათანობით სისუსტე დაეტყო. ლაღიძის მოადგილემ ვერ უშველა სალაროს და სისუსტე ბოლოს შიგნეულის ანთებად გადაიქცა, რის გამოც სალარო გარდაიცვალა და თან გადაჰყვა 2.460 მანეთი.

გარდაცვალების და ფულის გადაყოლის მიზეზის აღ-მოსაჩენად სწარმოებს კვლევა-ძიება. ეჭვი ეპარებათ თვით მომვლელებზე, რომლებიც უკვე დაატუსაღეს.

კირკა.

### ყურის ტკივილი

თელავი. გახშირდა ყურის ტკივილი, რომელიც გა-მოწვეულია კომკავშირის სასულე მუსიკით. ვინც ორ-სამ „მარშს" მოუსმენს ამ მუსიკას, მას აუცილებლად ყურე-ბი ასტკივა.

მოძრავი კინო.

### აყროლებული ადგილკომი

თბილისი. ამ.-კავკ. რკინის-გზის სალიანდაგო სამსა-ხურის სამმართველოს ადგილკომი ისე დაძველდა, რომ, მიუხედავად ზამთრის დიდი სიცივეებისა, მაინც ჰყარს, რის გამოც ადგილკომის თავმჯდომარე ვერაფერს აკე-თებს გარდა განყოფილებებიდან განყოფილებებში სია-რულისა.

ჯოჯოხეთელი.

## „ზარალის მოგება“

**ძირულა.** მუშკოოპის გამგეობა დარწმუნდა, რომ მისი ცარიელი განყოფილებები, რომლებიც არსებობენ როგორც კერძო ვაჭრების **საფრთხობელა**, იძლევიან დიდ **ზარალის მოგებას.** ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა: მუდმივად იყოლიოს დეფიციტის (ზარალის) მოანგარიშე ბუჰალტერი, რომელსაც დაენიშნა თანაშემწე და გაორკეცებული ჯამაგირი. სარევიზიო კომისია მხედველობაში ღებულობს მუშკოოპის ასეთ მწუხარე მდგომარეობას და თვალებდახუჭული დადის, რათა ზარალის დანახვით გული არ წაუვიდეს.

ჭიათურა

## რა ჰქვია?

მოლარეები გასპეცდენ
უჭრით მარჯვენა ხელია;
ყველგან გააბეს ბაწარი,
გათხარეს ბლომად ხვრელია.
ალმშენებელთა კავშირსა
კასა არ დაუკეტია...
ფულები გაჰქრენ, გაიქცენ,
ორი ათასზე მეტია.
ამას ქურდობა არ ჰქვია,
და არც გაფლანგვა ერქმევა.
რა უყოთ თურმე მოლარეს
ფული სულ ძალად ეჭმევა.

იშკილი.



**გამვლელები** (მეეზოვეს). შენ, არ იცი, რომ ქუჩა ღამით უნდა დაასუფთაო და არა დღით?!

**მეეზოვე.** კი, მაგრამ, განა თქვენთვის სულერთი არ არის?!. ღამითაც ხომ ქუჩა-ქუჩა დაძვრებით!



**სამტრედიის რკინის-გზის სკოლის ექიმი.** რალას მიბარებდენ კრებაზე, თუ კი კენჭის ყრის დროს გამაშავებდენ... ამიტომაც დავსტოვე კრება და აწი არასოდეს არ დავესწრები მუშების კრებას.

# კირილე და არჩილი

არჩილმა ნახა:—კირილეს
ბლომად ედება ქონია.
ფიქრობს, როგორმე შეუძვრეს
და მოიმაგროს ფეხია,

შემდეგ კირილეს ზურგზედა
მაგრად შეადგას ფეხია.
არჩილმა უთხრა კირილეს:
მღვდელო, დამიგდე ყურია;

ძმაო, მეც მიამხანაგე,
მსურს შენთან სამსახურია.
კირილემ უთხრა:—არჩილავ,
დამეხსენ, რად შემჭამეო;

ნეტა მე შენი ზიარი
არ მქონდეს დღე და ღამეო.
ცხრაას-ხუთი რომ დამარცხდა
გაისმა ჟანდარმთ ხმებია,

შენ ყოყოჩობა დაიწყე,
გაუშვი გრძელი თმებია,—
და მღვდლად ეკურთხე, თითქოს შენ
იწამე ქრისტეს რჯულია...

. . . . . . . .

კომუნისტები მოვიდენ
გამოგვეცვალა გულია.

—:—

რას იზამდი, შე ცუღლუტო,
ჩამოჰყარე იმ დროს ყური
მიანებე მღვდლობას თავი
და დაიწყე სამსახური.

რომ გაიგე,—ეკლესიებს
გაეღება ისევ კარი,

—ვხედავ თმები გაგიშვია
ეგი მიწა დასაყარი.

სამი გზობა მოიცვალე
გარეგნულად შენი ტყავი,
მაგრამ გული ისევ ის გაქვს:
ცბიერი და მუდამ შავი...

—:—



შეიბნენ: არჩილ, კირილე,
(ერთი-მეორეს მტერია)
კირილემ არჩილს აჯობა:
გაპუტა თმა და წვერია.

—:—

ასე დამთავრდა ეს ბრძოლა
არჩილის დამარცხებითა,
კირილე ამ გამარჯვებას
დღეს იხსენიებს ქებითა.

კიკოლიკო.

# ამერიკული აუქციონი

რომელიც გნებავთ,—ავილოთ: გინდ კვირა დღე, გინდ პარასკევი—და ჩავიაროთ ბაზარში.

ტალახი... და ფეხებზე ბაწრით დაბმული კალოშები...

დღე წყნარი, როგორც ჩინეთი...

სინდისისა და პატიოსნებასავით გაწმენდილი ცა...

უსწორ-მასწორო ადგილი, როგორც ინგლისის პოლიტიკა...

...და ამ პოეზიასავით წყნარს ამინდში—ბაზრობა.

გასაყიდია მრავალი რამ: ქალიშვილი, ვაჟი, საქონელი, ქირნახული და ვინ მოსთვლის კიდევ რა!!!

---

აი, აგერ მოხუც ქალთა ერთი ჯგუფი ხარბად ათვალიერებს... იქ ვილაცას...

„ლამაზი ქალი“ სჩანს იმ მხარეს... ლამაზი „პოზა“ უნდა დაიჭიროს, მაგრამ უშნოთ იგრიხება.

აგერ ახალგაზრდა ვაჟი... ესეც ეძებს... ხელში ახალი ნაყიდი ქუდი უჭირავს... ალბად ვერ იმეტებს თავზე დასახურავად... უხარია ახალი ქუდი და თავს ამაყად გრძნობს... სულელმა ის კი არ იცის, რომ: სჯობია თავზე დაიხუროს, მას სიმაღლე მოემატება და თანაც დაინახავენ, რომ ახალი ქუდი აქვს...

— ჰა, კოტე, მოგწონს იგი ქალი?—ეკითხება მაჭანკალი.

— მზითვები რამდენი აქვს?—ეკითხება მაჭანკალს კოტეს დედა.

— ვაჟი, როგორც თვითონ ხედავ, კარგია. ისე შეგინახავს, როგორც თვალის ჩინს!—უთხრა ქალს იმავე მაჭანკალმა ორპროცენტიანი სიმართლე.

---

— ქალო, ხედავ მართას გოგოს ათხოვებენ!?!

— საწყალი, როგორც იქნა ელირსა...

— ელირსა და მერე როგორი?.. ქალაქელს მისთხოვდა.

— ბიჭო, რა ჰქენი? მზითვებს გიმატებენ?

— შენ, ვასო, იმ ქალს როგორ მოურიგდი?

— როგორ მოურიგდებოდი! ჩაიშალა საქმე, რადგანაც მზითვებს ცოტას იძლევიან... უმზითვოს ხომ უკეთესს ქალს შევირთავ.

— შეხედე კოტეს, როგორ დამფრთხალ კურდღელსავით აცეცებს თვალებს იქით-აქეთ?!

— ხა-ხა-ხა-ხა... იქნებ ჩავასხათ ქორწილში.

---

— ჰა, კაცო, მორიგდით... დაჰკათ ხელი.

— არა, ძმაო, ცალ ხარში მაგ ფასს ვერ მივსცემ...

. . . . . . . . . . . .

— შე, ძმობილო, რრრრრას აფასებ ძძძძრრრროხას?

. . . . . . . . . . . .

— ჰო, ქალო, რამდენი არშინი გინდა? ხედავ: აბრეშუმივით ჩითია.

. . . . . . . . . . . .

— ათ შაურათ ქათამი ვის გინდა...

— საცვალი... თეთრეული... აქეთ მუშტარო... ჰოჰო-ჰო, რა არის რა არის... მისწრებაა, მისწრება...

— დედა ჰყოლია კაპასი...

— ჰა, სთქვით, მორიგდით... ჩარჩები ხომ არა ხართ... თქვენი შვილია, მზითვი მოუმატე... შენც ცოტა დაუკელი, მა როგორ გინდა, ისეთი ქალია, რომ ერთ ქალად მისი შეხედვა ღირს...

— ჯანდაბას თქვენი თავი... აბა ნახეთ თუ იგი გაუთხოვარი დარჩეს...

— რრრრვა თუმანი არ გინდა მაგ ძძძძრრრროხაში... და მმმმმოზვერში?

არა, ძმაო, არა... აბა ნახეთ თუ გაუყიდავი დამრჩეს ეს ძროხა და მოზვერი.

---

გვიან საღამოს იშლება ბაზრობა. ზოგი მხიარული ბრუნდება სახლში და უფრო მეტი კი მოწყენილი.

**ხაშურელი შმაილა.**

# ავტორთა მიღება



დ. წ—ლის. (აქ) თქვენს „უბედურ შემთხვევა“-ს უბედური შემთხვევა შეემთხვა: თავი ამოჰყო უფსკერო გოდორში, ისე როგორც თქვენმა ბებიამ, რომელიც:

„მოვიკიდე ზურგზე ტომარასავით, შევდექი ხიდზე, რომელზედაც სასწორსავით ვწოწიალობდი... როგორც იქნა მივაღწიე ნაპირს... ბებიამ მითხრა:

— შვილო, აი იმ თეთრ ქვაზე დამსვი—მეც იქ ჩამოვსვი, მაგრამ:

თურმე წყლის ქაფი ყოფილა,—
იმას კი ქვა შგონებია...
და ჩვენს ცხონებულს ბებიას
ეს იღბალი ქონებია...

არა უშავს რა; საიქიოში განბანილი შევა.

გვწერთ, რომ ამ ამბის „შემდეგი იქნება“-ო.

ჩვენც გიპასუხებთ, რომ შედეგიც ასეთი იქნება.

წა—ლას. (ჩოხატაური) თქვენ იწერებით, რომ:

„9 წლედის მასწავლებელსა
დასჩემდა ცუდი სენია:
არც კი კითხულობს:—ბაზარში
თუ ვისი არის ცხენია...



ახსნის და როგორც საკუთარს
ზე მოახტება გავაზე...
პატრონი გაოცებული
უცქერის თვის ცხენს ნავარდზე,
ზვვით და ქვევით ჯირითით
ცხენს გააქვთ ხათქა-ხუთქაა...
რა ენაღვლება „დონკიხოტს“,
თუ ხეირნობა მუქთია“.

თუ მართლაც დონკიხოტია (რაც უკვე სჩანს) არ არის გასაკვირალი, რომ იგი ასე იქცევა.

„ხულოელ ბზიკს“ (ხულო) თქვენ გვწერთ, რომ:

„ალექსას ქალი მოენატრა და დაუწყო ქალის სურათს კოცნა... ამის შემდეგ იგი დამშვიდდა“.

აბა, ერთი გვითხარით: რა მოსაწერია ასეთი ამბავი?! ანდა რატომ უსაყვედურებთ ალექსას? პირიქით: ვაშა მას, რომ სურათით დამშვიდებულა.

ყლაპს. „ტარტაროზი“-ს უფსკერო გოდორმა ყლაპი უქნა თქვენს წერილს.

შეშინებულს (საჭამიას-სერი). როგორც თვით თქვენი ფსევდონიმიდან სჩანს, მართლაც ძალიან შეუშინებიხარ მასწავლებელ დიმიტრის... მაგრამ დიმიტრი თქვენ იმიტომ გაშინებს, რომ ისწავლოთ; როცა ისწავლით, წერილსაც კარგად დასწერთ და მაშინ „ტარტაროზი“ მზად იქნება ემსახუროს თქვენს სურვილს.

კიწავას (სუფსა). არ წავა.

პესიმისტკა მარგოს (შემოქმედი). ალბად მას შემდეგ გახდით „პესიმისტკა“ რაც

„მირბის, მიგაფრენს უგზო-უკვლოდ შენი ორები.

. . . . . . . . . . . . .

ულუკმო პუროდ დავდივარ
მარტო წიგნების ამარა...

**ორებმა მომსპეს, დამჩაგრეს**

**და „ჩისტკამ“ დამასამარა...**

და სწორედ თქვენი წერილიც ჩვენმა „ჩისტკამ“ დაასამარა უფსკერო გოდორში.

**მუხრუჭს.** (ნატანები) რადგნაც ივანეს ამბავი, რომელიც ეხება მის მიერ ღორის დაკვლას, ძველია,-- ამიტომ ვათავსებთ მარტო სურათს.



**საწყალი ღორი სიმწრისგან გაიქცა როგორც რაშია, ყვილა გაჭფანტა... ივანე კი აზის ჯაგარაშია.**

**„მუგუზალს“** (ჭიათურა). სწორედ მაგვარი საქმე ხდება თურმე ჩოჩხათშიც. (იხ. ზემოთ ჩვენი პასუხი უცნაურთან).

მასწავლებელ გიორგიზე გვწერთ, რომ:

**ორი თვეა ეს ყმაწვილი**
**ჩვენს ცხრაწლედში დაფარფაშებს,**
**და აქ მყოფ მოწაფე ქალებს**
**თვის ნებაზე ათამაშებს.**

მართლაც თუ კი მასეა საქმე, „მუგუზალი“ მოუხდება და ეს არც ისე ძნელი საშოვნელია შენთვის.

**ახალ. პიოს** (სამტრედია). ვაჰხ! ვაჰხ! კაცო, ეს რა ამბავია!!! აქაც ცხრაწლედის ამბავი. თურმე ხალამპრე და დავითი მუსიკის გაკვეთილსაც კი ასწავლიან მოწაფე ქალებს. აი რა სიმღერას ასწავლიან:

**ამ ჩვენმა მარუსამ**
**ფული იგდო ხელში,**
**წავიდა სინდიკატში,**
**ჩადგა „ოჩერედში“...**

. . . . . . . .

თქვენ ადექით და ეს თქვენი ხალამპრე და დავითი „ვირის აბანოში“ მიაბრძანეთ. იქაც ხომ „ოჩერედში“ დგომა არ მოუწევსთ, რადგან ურიგოთ მიიღებენ და უთხარით:

**რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.**

**ბალიკაურელს** (ჭიათურა). თქვენ იმავე გიორგი მასწავლებელზე გვწერთ, რომელზედაც გვწერდა „მუგუზალი“ (იხ. ჩვენი პასუხი „მუგუზალთან“) გამართლებულა ჩვენი რჩევა და მართლაც:

**შენისთანა საძაგელი**
**სკოლას არა არგიაო,**
**სანამ ძალას მოვიტანდეთ**
**ბიკარით ბარგიაო.**
**შერცხვენილი, თავმოჭრილი**
**იმავე დღეს გაიპარა.**
**—ერთს „ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ“ ცოლად ვირთავ—**
**ეს ანდერძად დაიბარა.**
**ჭიათურის ცხრაწლედს ჩირქი**
**მოსცხო ამით წაუშლელი.**
**ორი ვარდი ბუჩქს მოსწყვიტა**
**უდროო დროს გაუშლელი.**

ვარდების მოწყვეტას ნუ სტირით: გაზაფხულია და სხვა აყვავდება. საკვირველი ის არის, რომ რატომ მოსწყვიტა გაუშლელი... მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ გაშლილი იქნებოდა.

ერთის ცოლად შერთვმას თუ კი გპირდებათ, სხვა რაღა გინდათ?... ორი ცოლის შერთვა არა თუ საბჭოთა კანონით, თვით ოსმალეთის კანონითაც აკრძალულია.

**მჭვრეტავს** (შორაპანი)... ჰო-და, თუ კი ასე გებრალება, შეიბრალე და მიხედე „ქრისტინა“-ს. რაღა სხვას დაეძებ; თავი უფრო ახლოს არა გაქვს?!

**სატკ—ვლეც ამირანს.** თუმცაღა **„ღრმა სალამით“** გვთხოვთ, მაგრამ მაინც ღრმად წავიდა იქ.

**კან-ბანს.** ვლადიმეს ერთი რამ მაინც კარგი უქნია ასეთი „ცუდი საქმით“: მაქაურ მეჭორეებისათვის საქმე მიუცია.

**ქვაროხელს** (ჩოხატაური). ჩვენც მასე გამოუწერდით. და ხლა რაღა საჭიროა ჩვენი წამალი, როცა უკვე

**დაესიენ თეოფილეს**

**ყველამ ერთად და დაბეგვეს.**

ეხლა თეოფილე გაულახავთ, რადგან კარტში მან მოიგო ფული... მაგრამ მეორეხელ თეოფილე მობეგვავს სხვას. ასე, რომ ჩვენ აღარ გვჭირია მათი წამლობა. კიდეც ითამაშონ კარტი, და კიდეც ბეგვონ ერთმანეთი.

**უცნაურს.** (ჩოჩხათი) არაფერი უცნაურობა არ არის, თუ **„შალვამ ოლია შეიყვარა“.**

ვათავსებთ სურთს, თანახმად თქვენი თხოვნისა და აღწერილობისა:

**დახატეთ სურათი: მასწავლებელი მოწაფე ქალს ჰკოცნის.**



**მასწავლებელი სიყვარულს ასწავლის და უხსნის (სიყვარულის) გაკვეთილს მოწაფე ქალს.**

**ვომსეკოთს** (საჯევახო). ორ კაცს დაგიწერიათ. ერთი წერილი და ისიც ასე ცუდი. ერთს რომ დაგეწერა, ალბათ, უკეთსი იქნებოდა და, მოსალოდნელია, ჩვენ დაგვებეჭდა.

**ამირანს** (შემოქმედი). დიდი სირცხვილი კია: როდის იყო, რომ ამირანი შემოქმედის ბერების საქმეში ერეოდა?

**ლელოს.** თქვენმა **„აკრძალულმა ხილმა“** გაიტანა ლელო,—და ამჟამად განისვენებს გოდორსა შინა.

**ვარდის ფოთოლს** (ზედა-ზეგანი). თქვენ გვწერთ, რომ:

**„ეჰ! როგორ არის, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?!“**

ჩვენც გიპასუხებთ:

ეჰ! როგორ არის ვერ მივხვდით, როგორი დანაწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლიუციის „ცეცხლის-მქრობელი რაზმი"

საერთაშორისო მენშევიზმი არის მსოფლიო რევოლიუციის ხანძარის მქრობელი რაზმი.

მამია ორახელაშვილის სიტყვიდან ა. ლ. კ. ა.-კ. ორგანიზაციათა მეოთხე ყრილობაზე.



მოქალაქე. (მოვარდება) მოგვეშველეთ... სახლი იწვის... აი, იქ ხანძარი არის.

„რაზმი". ჩვენ მასეთ ხანძარს არა ვაქრობთ; ეს ჩვენი აქმე არ არის... ჩვენ ვართ ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული რევოლიუციის მქრობელი რაზმი.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. № 68.